| 7082  | მომსახურება კულტურის სფეროში                                      | 708.3   | 683.5   | 606.0   | 785.0   | 880.0   | 945.0   |
| 709   | განათლება                                                         | 714.1   | 786.0   | 820.0   | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| 7091  | სკოლამდელი აღზრდა                                                 | 714.1   | 786.0   | 820.0   | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| 710   | სოციალური დაცვა                                                   | 723.6   | 692.9   | 445.0   | 615.0   | 710.0   | 750.0   |
| 7101  | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 361.0   | 327.0   | 180.0   | 250.0   | 300.0   | 300.0   |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა               | 361.0   | 327.0   | 180.0   | 250.0   | 300.0   | 300.0   |
| 7102  | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა                                       | 149.9   | 160.0   | 165.0   | 180.0   | 200.0   | 220.0   |
| 7103  | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა                            | 115.2   | 97.3    | 60.0    | 115.0   | 140.0   | 160.0   |
| 7104  | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                            | 97.5    | 108.6   | 40.0    | 70.0    | 70.0    | 70.0    |





|     |         |          |         |         |         |         |
|-----|---------|----------|---------|---------|---------|---------|
| სულ | 8,635.8 | 13,908.9 | 7,340.0 | 7,400.0 | 7,640.0 | 7,950.0 |
|-----|---------|----------|---------|---------|---------|---------|

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

- ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით.
- ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (გარდამავალი ნაშთი) 0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 10 ათასი ლარის ოდენობით და ხარჯვის განკარგვა მოხდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 217.0 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 100.0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 106.7 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 10.3 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი II**

**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გაწმენდა, აღნიშნულ ღონისძიებებისთვის განსაზღვრულია 32,5 ათასი ლარი. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2015 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (სესხის დაფარვა) გათვალისწინებულია 203,3 ათასი ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისთვის - 164,0 ათასი ლარი; საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად - 12,0 ათასი ლარი.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 678,9 ათასი ლარი.

## **1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება.

### **1.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების (სასმელი წყლის) ქსელის მოვლა-შენახვა.

ბიუჯეტის ფარგლებში 300,0 ათასი ლარით დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას.

### **1.2.2. საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროში მდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები. ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, რომლისათვისაც გათვალისწინებულია 5,6 ათასი ლარი.

### **1.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში 83,5 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა - შენახვა. 40,0 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების ქსელის მიერ გახარჯული ელ. ენერგიის ღირებულება.

### **1.2.4. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარ-ული მდგომარეობის გაუმჯობესება, 817,0 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. 4,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ქალაქ თეთრიწყაროში ხეების გადაბეღვის სამუშაოებზე. უმეთვალყურედ დარჩენილი ძაღლების მოვლა-პატრონობაზე გათვალისწინებულია 25,0 ათასი ლარი.

## **1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა.**

### **1.3.1. საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)**

თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. მათ შორის, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-მშენებლობა და მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია. ახალაშენებული საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა.



### 1.3.2. ურბანული ტერიტორიის მოწყობა, (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.თეთრიწყაროს ურბანულ განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალგაზრდების ჩართულობა.

### 1.3.3. მიწის აზომვითი და საპროექტო სამუშაოების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების - ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

### 2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 750-მდე ბავშვი. ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სრულად დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

## 3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

### 3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „თეთრიწყაროს სპორტული სკოლის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა სკოლას, რომელიც აერთიანებს 11 სპორტულ სექციას და 200-მდე სპორტსმენს, ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

### 3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### 3.2.1 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 01)

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“, რომელშიც დაცულია 11000 - მდე ექსპონატი.

#### 3.2.2 სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „სახელოვნებო სკოლა“, სადაც ფუნქციონირებს 14 წრე.



### 3.2.3 ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება- კულტურის ცენტრი“ ; რელიგია; კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)

2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ააიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება- კულტურის ცენტრი“, რომელშიც გაერთიანებულია 8 ბიბლიოთეკა და ფუნქციონირებს 12 წრე.

### 3.2.4 მუსიკალური სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ორი მუსიკალური სკოლა - ააიპ „თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლა“ და ააიპ „მანგლისის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 210-მდე მოსწავლე.

## 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას

### 4.1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ ძირითადად 10 პროგრამას აფინანსებს.

- C ჰეპატიტის ელიმინაციის ღონისძიებები
- სანიტარული ჰიგიენური ღონისძიებები
- ტუბერკულოზის ეპიტუხედამხედველობის ღონისძიებები
- მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები
- ვერბალური აუტოფსიის ღონისძიებები
- მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების ხელშეწყობის ღონისძიებები
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებები
- ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები
- საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებები
- დეზინფექციისა და დერატიზაციის ღონისძიებები

### 4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

#### 4.2.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

#### 4.2.2. ხანდაზმულთა (ეკონომიურად შეჭირვებულთა) სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა.ა.ი.პ. „მზრუნველობას მოკლებულთა სასადაილოს“ დაფინანსება, რომლის მიზანია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ხანდაზმულებისა და ზოგადად, ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება, კერძოდ, ქალაქ თეთრიწყაროში რეგისტრირებულ ბენეფიციართა ყოველდღიურად ცხელი საკვებით უზრუნველყოფა და სოფლად რეგისტრირებულ ბენეფიციართა ყოველთვიური მშრალი პროდუქტებით დახმარება.

**4.2.3. მრავალშვილიანი ოჯახების, მარჩენალდაკარგულ პირთა ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების მცირეწლოვანი ბავშვების, უღედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება (18 წლამდე), აგრეთვე დედით, ან მამით ობოლი ბავშვების (18 წლამდე) ერთჯერადი დახმარება.

**4.2.4. დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯებისთვის ერთჯერადი დახმარება 250 ლარი

**4.2.5 გადაუდებელი აუცილებლობის, სტიქიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)**

გადაუდებელი აუცილებლობის, სტიქიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება.

**4.2.6 მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ან მათთან გათანაბრებულ პირების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ან მათთან გათანაბრებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯები: ომის მონაწილეზე 250 ლარი, მათთან გათანაბრებულ პირებზე 100 ლარი.

**4.2.7 სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)**

იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯი 250 ლარი, სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯი - 100 ლარი.

**5. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მოზილიზება.

**მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

|  |  | 2017 წლის გეგმა |  | 2018 წლის გეგმა |  |
|--|--|-----------------|--|-----------------|--|
|  |  | მათ შორის       |  | მათ შორის       |  |
|  |  |                 |  |                 |  |
|  |  |                 |  |                 |  |



| ორგ. კოდი | დასახელება                                                | 2016 წლის ფაქტი | სულ      | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |                      | სულ     | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |         | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|-----------|-----------------------------------------------------------|-----------------|----------|-------------------------------------------------------|----------------------|---------|-------------------------------------------------------|---------|--------------------|--------------------|--------------------|
|           |                                                           |                 |          | საკუთარი შემოსავლები                                  | საკუთარი შემოსავლები |         |                                                       |         |                    |                    |                    |
|           | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი                                | 8,635.8         | 13,908.9 | 4,921.8                                               | 8,987.1              | 7,340.0 | 0.0                                                   | 7,340.0 | 7,400.0            | 7,640.0            | 7,950.0            |
|           | მომუშავეთა რიცხოვნობა                                     | 141.0           | 143.0    | 0.0                                                   | 143.0                | 98      | 0                                                     | 98.0    | 106.0              | 98.0               | 98.0               |
|           | ხარჯები                                                   | 6,106.1         | 6,316.7  | 0.0                                                   | 6,316.7              | 6,436.4 | 0.0                                                   | 6,436.4 | 6,784.7            | 7,068.7            | 7,358.7            |
|           | შრომის ანაზღაურება                                        | 1,738.4         | 1,373.7  | 0.0                                                   | 1,373.7              | 1,616.0 | 0.0                                                   | 1,616.0 | 1,366.6            | 1,365.6            | 1,365.6            |
|           | საქონელი და მომსახურება                                   | 1,692.6         | 2,091.1  | 0.0                                                   | 2,091.1              | 2,359.4 | 0.0                                                   | 2,359.4 | 2,272.4            | 2,327.4            | 2,392.4            |
|           | პროცენტი                                                  | 141.2           | 0.0      | 0.0                                                   | 0.0                  | 0.0     | 0.0                                                   | 0.0     | 203.3              | 203.3              | 203.3              |
|           | სუბსიდიები                                                | 1,939.9         | 2,227.1  | 0.0                                                   | 2,227.1              | 2,161.0 | 0.0                                                   | 2,161.0 | 2,460.0            | 2,605.0            | 2,830.0            |
|           | გრანტები                                                  | 0.0             | 20.0     | 0.0                                                   | 20.0                 | 0.0     | 0.0                                                   | 0.0     | 0.0                | 0.0                | 0.0                |
|           | სოციალური უზრუნველყოფა                                    | 516.1           | 476.9    | 0.0                                                   | 476.9                | 280.0   | 0.0                                                   | 280.0   | 435.0              | 510.0              | 530.0              |
|           | სხვა ხარჯები                                              | 77.9            | 127.9    | 0.0                                                   | 127.9                | 20.0    | 0.0                                                   | 20.0    | 47.4               | 57.4               | 37.4               |
|           | არაფინანსური აქტივების ზრდა                               | 2,529.7         | 7,388.9  | 4,921.8                                               | 2,467.1              | 700.3   | 0.0                                                   | 700.3   | 412.0              | 368.0              | 388.0              |
|           | ძირითადი აქტივები                                         | 2,529.7         | 7,388.9  | 4,921.8                                               | 2,467.1              | 700.3   | 0.0                                                   | 700.3   | 412.0              | 368.0              | 388.0              |
|           | არაწარმოებული აქტივები                                    | 0.0             | 0.0      | 0.0                                                   | 0.0                  | 0.0     | 0.0                                                   | 0.0     | 0.0                | 0.0                | 0.0                |
|           | ვალდებულებების კლება                                      | 0.0             | 203.3    | 0.0                                                   | 203.3                | 203.3   | 0.0                                                   | 203.3   | 203.3              | 203.3              | 203.3              |
|           | საშინაო                                                   | 0.0             | 203.3    | 0.0                                                   | 203.3                | 203.3   | 0.0                                                   | 203.3   | 203.3              | 203.3              | 203.3              |
| 01 00     | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2,496.9         | 2,342.9  | 0.0                                                   | 2,342.9              | 2,721.6 | 0.0                                                   | 2,721.6 | 2,181.9            | 2,191.9            | 2,171.9            |
|           | მომუშავეთა რიცხოვნობა                                     | 136.0           | 138.0    | 0.0                                                   | 138.0                | 93.0    | 0.0                                                   | 93.0    | 93.0               | 93.0               | 93.0               |
|           | ხარჯები                                                   | 2,465.9         | 2,328.6  | 0.0                                                   | 2,328.6              | 2,712.2 | 0.0                                                   | 2,712.2 | 2,181.9            | 2,191.9            | 2,171.9            |
|           | შრომის ანაზღაურება                                        | 1,684.9         | 1,325.5  | 0.0                                                   | 1,325.5              | 1,552.4 | 0.0                                                   | 1,552.4 | 1,305.0            | 1,305.0            | 1,305.0            |
|           | საქონელი და მომსახურება                                   | 771.0           | 944.1    | 0.0                                                   | 944.1                | 1,139.8 | 0.0                                                   | 1,139.8 | 829.5              | 829.5              | 829.5              |
|           | სოციალური უზრუნველყოფა                                    | 6.7             | 5.0      | 0.0                                                   | 5.0                  | 0.0     | 0.0                                                   | 0.0     | 0.0                | 0.0                | 0.0                |
|           | სხვა ხარჯები                                              | 3.3             | 54.0     | 0.0                                                   | 54.0                 | 20.0    | 0.0                                                   | 20.0    | 47.4               | 57.4               | 37.4               |



|          |                                                                                                    |         |         |     |         |         |     |         |         |         |         |
|----------|----------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|-----|---------|---------|-----|---------|---------|---------|---------|
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                                        | 31.0    | 14.3    | 0.0 | 14.3    | 9.4     | 0.0 | 9.4     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | ძირითადი აქტივები                                                                                  | 31.0    | 14.3    | 0.0 | 14.3    | 9.4     | 0.0 | 9.4     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 01<br>01 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო                                                              | 554.4   | 543.7   | 0.0 | 543.7   | 690.5   | 0.0 | 690.5   | 573.1   | 573.1   | 573.1   |
|          | მომუშავეთა რიცხოვნობა                                                                              | 21.0    | 23.0    | 0.0 | 23.0    | 24.0    | 0.0 | 24.0    | 24.0    | 24.0    | 24.0    |
|          | ხარჯები                                                                                            | 549.0   | 542.4   | 0.0 | 542.4   | 690.5   | 0.0 | 690.5   | 573.1   | 573.1   | 573.1   |
|          | შრომის ანაზღაურება                                                                                 | 379.8   | 354.4   | 0.0 | 354.4   | 495.4   | 0.0 | 495.4   | 350.0   | 350.0   | 350.0   |
|          | საქონელი და მომსახურება                                                                            | 166.9   | 188.0   | 0.0 | 188.0   | 195.1   | 0.0 | 195.1   | 221.7   | 221.7   | 221.7   |
|          | სოციალური უზრუნველყოფა                                                                             | 2.3     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                                        | 5.4     | 1.3     | 0.0 | 1.3     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | ძირითადი აქტივები                                                                                  | 5.4     | 1.3     | 0.0 | 1.3     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 01<br>02 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა                                                               | 1,942.5 | 1,750.2 | 0.0 | 1,750.2 | 2,021.1 | 0.0 | 2,021.1 | 1,567.8 | 1,567.8 | 1,567.8 |
|          | მომუშავეთა რიცხოვნობა                                                                              | 115.0   | 115.0   | 0.0 | 115.0   | 69.0    | 0.0 | 69.0    | 69.0    | 69.0    | 69.0    |
|          | ხარჯები                                                                                            | 1,916.9 | 1,737.2 | 0.0 | 1,737.2 | 2,011.7 | 0.0 | 2,011.7 | 1,567.8 | 1,567.8 | 1,567.8 |
|          | შრომის ანაზღაურება                                                                                 | 1,305.1 | 971.1   | 0.0 | 971.1   | 1,057.0 | 0.0 | 1,057.0 | 955.0   | 955.0   | 955.0   |
|          | საქონელი და მომსახურება                                                                            | 604.1   | 756.1   | 0.0 | 756.1   | 944.7   | 0.0 | 944.7   | 607.8   | 607.8   | 607.8   |
|          | სოციალური უზრუნველყოფა                                                                             | 4.4     | 5.0     | 0.0 | 5.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | სხვა ხარჯები                                                                                       | 3.3     | 5.0     | 0.0 | 5.0     | 10.0    | 0.0 | 10.0    | 5.0     | 5.0     | 5.0     |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                                        | 25.6    | 13.0    | 0.0 | 13.0    | 9.4     | 0.0 | 9.4     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | ძირითადი აქტივები                                                                                  | 25.6    | 13.0    | 0.0 | 13.0    | 9.4     | 0.0 | 9.4     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 01<br>03 | სარეზერვო ფონდი                                                                                    | 0.0     | 47.0    | 0.0 | 47.0    | 10.0    | 0.0 | 10.0    | 40.0    | 50.0    | 30.0    |
|          | ხარჯები                                                                                            | 0.0     | 47.0    | 0.0 | 47.0    | 10.0    | 0.0 | 10.0    | 40.0    | 50.0    | 30.0    |
|          | სხვა ხარჯები                                                                                       | 0.0     | 47.0    | 0.0 | 47.0    | 10.0    | 0.0 | 10.0    | 40.0    | 50.0    | 30.0    |
| 01<br>04 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები და სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯი | 0.0     | 2.0     | 0.0 | 2.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 1.0     | 1.0     | 1.0     |
|          | ხარჯები                                                                                            | 0.0     | 2.0     | 0.0 | 2.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 1.0     | 1.0     | 1.0     |
|          | სხვა ხარჯები                                                                                       | 0.0     | 2.0     | 0.0 | 2.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 1.0     | 1.0     | 1.0     |



|          |                                                              |         |         |         |         |         |     |         |         |         |         |
|----------|--------------------------------------------------------------|---------|---------|---------|---------|---------|-----|---------|---------|---------|---------|
| 02<br>00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება              | 90.9    | 92.8    | 0.0     | 92.8    | 106.7   | 0.0 | 106.7   | 91.6    | 90.6    | 90.6    |
|          | მომუშავეთა რიცხოვნობა                                        | 5.0     | 5.0     | 0.0     | 5.0     | 5       | 0   | 5.0     | 13.0    | 5.0     | 5.0     |
|          | ხარჯები                                                      | 90.9    | 92.8    | 0.0     | 92.8    | 106.7   | 0.0 | 106.7   | 91.6    | 90.6    | 90.6    |
|          | შრომის ანაზღაურება                                           | 53.5    | 48.2    | 0.0     | 48.2    | 63.6    | 0.0 | 63.6    | 61.6    | 60.6    | 60.6    |
|          | საქონელი და მომსახურება                                      | 37.4    | 44.6    | 0.0     | 44.6    | 43.1    | 0.0 | 43.1    | 30.0    | 30.0    | 30.0    |
|          | გრანტები                                                     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | სოციალური უზრუნველყოფა                                       | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 02<br>01 | საგანგებო სიტუაციების მართვა (სახანძრო)                      | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | მომუშავეთა რიცხოვნობა                                        | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | ხარჯები                                                      | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | შრომის ანაზღაურება                                           | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | საქონელი და მომსახურება                                      | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | გრანტები                                                     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|          | სოციალური უზრუნველყოფა                                       | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 02<br>03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (სამხედრო) | 90.9    | 92.8    | 0.0     | 92.8    | 106.7   | 0.0 | 106.7   | 91.6    | 90.6    | 90.6    |
|          | მომუშავეთა რიცხოვნობა                                        | 5.0     | 5.0     | 0.0     | 5.0     | 5       | 0   | 5.0     | 13.0    | 5.0     | 5.0     |
|          | ხარჯები                                                      | 90.9    | 92.8    | 0.0     | 92.8    | 106.7   | 0.0 | 106.7   | 91.6    | 90.6    | 90.6    |
|          | შრომის ანაზღაურება                                           | 53.5    | 48.2    | 0.0     | 48.2    | 63.6    | 0.0 | 63.6    | 61.6    | 60.6    | 60.6    |
|          | საქონელი და მომსახურება                                      | 37.4    | 44.6    | 0.0     | 44.6    | 43.1    | 0.0 | 43.1    | 30.0    | 30.0    | 30.0    |
| 03<br>00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია     | 3,652.6 | 9,060.8 | 4,921.8 | 4,139.0 | 2,370.7 | 0.0 | 2,370.7 | 2,436.5 | 2,447.5 | 2,632.5 |
|          | ხარჯები                                                      | 1,153.9 | 1,482.9 | 0.0     | 1,482.9 | 1,476.5 | 0.0 | 1,476.5 | 1,821.2 | 1,876.2 | 2,041.2 |
|          | საქონელი და მომსახურება                                      | 779.5   | 1,017.9 | 0.0     | 1,017.9 | 1,176.5 | 0.0 | 1,176.5 | 1,312.9 | 1,367.9 | 1,432.9 |
|          | პროცენტი                                                     | 141.2   | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 203.3   | 203.3   | 203.3   |
|          | სუბსიდიები                                                   | 232.9   | 445.0   | 0.0     | 445.0   | 300.0   | 0.0 | 300.0   | 305.0   | 305.0   | 405.0   |
|          | გრანტები                                                     | 0.0     | 20.0    | 0.0     | 20.0    | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |





|                |                                                                          |         |         |         |         |         |     |         |         |         |         |
|----------------|--------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|---------|---------|-----|---------|---------|---------|---------|
|                | სხვა ხარჯები                                                             | 0.3     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|                | არაფინანსური აქტივების ზრდა                                              | 2,498.7 | 7,374.6 | 4,921.8 | 2,452.8 | 690.9   | 0.0 | 690.9   | 412.0   | 368.0   | 388.0   |
|                | ძირითადი აქტივები                                                        | 2,498.7 | 7,374.6 | 4,921.8 | 2,452.8 | 690.9   | 0.0 | 690.9   | 412.0   | 368.0   | 388.0   |
|                | არაწარმოებული აქტივები                                                   | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0 | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
|                | ვალდებულებების კლება                                                     | 0.0     | 203.3   | 0.0     | 203.3   | 203.3   | 0.0 | 203.3   | 203.3   | 203.3   | 203.3   |
